ვ. ელოშვილს გააქვს ბურთი

მინსკი. 19 მაისი. (ტელეფონით).

ზედიზედ 6 წაგებული მატჩის შემდეგ მინსკის "სპარტაკმა" კარგად ჩაატარა მატჩი გათამაშების ერთ–ერთ ლიდერთან – მოსკოვის "დინამოსთან" (0:0). ამიტომ მინსკელები განსაკუთრებული მონდომებით გამოვიდნენ თბილისის "დინამოს" წინააღმდეგ, რათა შეენარჩუნებინათ ეს წარმატება და ახალი ქულები მიემატებინათ თავიანთი მოკრძალებული აქტივისათვის.

თავის მხრივ 2 ქულა უაღრესად საჭირო იყო თბილისის დინამოსათვისაც, რომელიც ლიდერთა შორის იმყოფება. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად განაპირობა ის მეტად დაძაბული ბრძოლა, რომელიც ორივე ტაიმის განმავლობაში მიმდინარეობდა ამ გუნდების შეხვედრაში.

მატჩის წინ, როცა "სპარტაკის" უფროსი მწვრთნელი დავალებას აძლევდა თავის გუნდს, სპეციალურად გაესვა ხაზი იმას, რომ მოწინააღმდეგის მიერ კუთხური საჯარიმო ბურთის მარჯვენა მხრიდან მოწოდებისას საგანგებო ყურადღების ქვეშ ყოფილიყო აყვანილი "დინამოს" მარჯვენა მცველი ელოშვილი, რომელიც ასეთ შემთხვევებში ყველაზე სახიფათო თავდამსხმელის როლში გამოდის ხოლმე.

სპარტაკელებმა ვერ შეძლეს მწვრთნელის ამ დავალების შესრულება. როცა მე–10 წუთზე მათ კართან დანიშნულ იქნა კუთხური საჯარიმო, ელოშვილი მიუახლოვდა ხასაიას, მიიღო მისგან ბურთი პირითი ხაზის გაყოლებით, შეიჭრა საჯარიმო მოედანში და უძლიერესი დარტყმით გაიტანა გოლი.

მინსკელებმა გადაწყვიტეს მაშინვე გამოესწორებინათ ეს მარცხი, გუნდი ყოველნაირად ცდილობდა მოეპოვებინა ინიციატივა და მიეღო ხანგრძლივი შეტევა, მაგრამ თბილისელები თამაშობდნენ ყურადღებით, კომბინაციურად.

ანგარიში 1:0 თბილისის "დინამოს" სასარგებლოდ ფარზე დიდი ხნის განმავლობაში ეწერა. 87–ე წუთზე მასპინძლებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე დაარღვიეს თამაშის წესი და დაჯარიმდნენ პენალტით, რომელიც ზუსტად გამოიყენა ხასაიამ.

თბილისის "დინამომ" მოიგო მატჩი ანგარიშით 2:0.

კარგად ითამაშეს ამ დღეს თბილისის "დინამოს" დუბლიორებმაც. მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1.

ი. ბელობოროდა.
"ლელო", 21 მაისი, 1957 წ.